

**ინფორმაცია საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებისათვის
სასწავლო პროგრამის განხორციელების შესახებ**

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ეგიდით და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროექტის “სანდო და მდგრადი საარჩევნო ინსტიტუტების და პროცესების გაძლიერება“ ერთობლივი პარტნიორობით საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრმა 2013 წლის 21 სექტემბრიდან დაიწყო სასწავლო პროგრამის განხორციელება მემორანდომის ხელმოწერ საქართველოს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში.

2013-2014 სასწავლო წლის პირველ სემესტრში სასწავლო პროგრამა დაიგეგმა და განხორციელდება 6 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში (თეორიული კურსი).

სასწავლო პროგრამა საქართველოს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებების სტუდენტებისათვის		
პერიოდი	ფაკულტეტი/მიმართულება	უნივერსიტეტი
25.09.2013 31.12.2013	ჟურნალისტიკა	ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
		გურამ თავართქილაძის უნივერსიტეტი
		საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი
	იურიდიული	გურამ თავართქილაძის უნივერსიტეტი
		ილიას სახელობის უნივერსიტეტი
		თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი
		გორის სასწავლო უნივერსიტეტი

ძირითადი სასწავლო მოდულები: საქართველოს საარჩევნო სამართლის ისტორია; საარჩევნო სამართლის წყაროები და პრინციპები; საარჩევნო სისტემები; საარჩევნო ადმინისტრაციის სტატუსი და სისტემა; წინასაარჩევნო კამპანია; არჩევნების დაფინანსება; არჩევნების მონიტორინგი და მედია; საარჩევნო დავები; საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები; საქართველოს პარლამენტის არჩევნები; აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნები; ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს არჩევნები; ქალაქ თბილისის მერის არჩევნები; რეფერენდუმი და პლემბისციტი.

სასწავლო მეთოდოლოგია:

- ▶ ელექტრონული სწავლება (გამოიყენება ვიზუალიზირებული ელექტრონული პროგრამა და სასწავლო ფილმი - „კენჭისყრის დღის პროცედურები“
 - ▶ ვერბალური სწავლება
 - ▶ პრაქტიკული სწავლება (პრაქტიკული სავარჯიშოები, ტესტები, სიტუაციური კაზუსები)
- როლური თამაშები (საუბნო საარჩევნო კომისიის პირველი სხდომის ინსცენირება, კენჭისყრის დღის ინსცენირება)

2013-2014 სასწავლო წლის პირველ სემესტრში დაიგეგმა და განხორციელდება სასწავლო პროგრამა - იურიდიული კლინიკის ფორმატში(პრაქტიკული კურსი), რომელშიც ჩაერთო 2 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულება.

იურიდიული კლინიკა საარჩევნო სამართალში		
პერიოდი	ფაკულტეტი	უნივერსიტეტი
01.11.2013 10.02.2014	იურიდიული	ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
		სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ძირითადი სასწავლო მოდულები: საქართველოს საარჩევნო სამართლის ისტორია; საარჩევნო სამართლის წყაროები და პრინციპები; საარჩევნო სისტემები; საარჩევნო ადმინისტრაციის სტატუსი და სისტემა; წინასაარჩევნო კამპანია; არჩევნების დაფინანსება; არჩევნების მონიტორინგი და მედია; საარჩევნო დავები; საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები; საქართველოს პარლამენტის არჩევნები; აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნები; ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს არჩევნები; ქალაქ თბილისის მერის არჩევნები; რეფერენდუმი და პლემბისციტი.

სასწავლო მეთოდოლოგია:

- ▶ ელექტრონული სწავლება (გამოიყენება ვიზუალიზირებული ელექტრონული პროგრამა და სასწავლო ფილმი - „კენჭისყრის დღის პროცედურები“
- ▶ ვერბალური სწავლება
- ▶ პრაქტიკული სწავლება (პრაქტიკული სავარჯიშოები, ტესტები, სიტუაციური კაზუსები) და როლური თამაშები (საუბნო საარჩევნო კომისიის პირველი სხდომის ინსცენირება, კენჭისყრის დღის ინსცენირება)
- ▶ დისტანციური სწავლება
- ▶ სტაჟირება